

სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი
„ახალი ტალღა“



პროფესიული სტუდენტის
გზამკვლევი

ქობულეთი 2019

შესავალი

პროფესიული სტუდენტის გზამკვლევი შექმნილია პროფესიული სტუდენტის მხარდაჭერის ღონისძიებების გაუმჯობესების, მათი ინფორმირებულობის, უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მიზნით. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „ახალი ტალღა“ ახორციელებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს სხვადასხვა მიმართულებით პროფესიების მსურველი პირებისთვის. წინამდებარე გზამკვლევის შექმნის იდეა ეხმიანება პროფესიულ სტუდენტთა საჭიროებებს საკონსულტაციო მომსახურებასთან დაკავშირებით. დაწესებულებას შემუშავებული აქვს სასწავლო პროცესის ეფექტურად წარმართვისა და პროფესიული სტუდენტის მიერ სწავლის შედეგის მიღწევის გამჭვირვალე პროცედურები, რომლებიც სხვადასხვა დოკუმენტსა და ნორმატიულ აქტშია თავმოყრილი და დაინტერესებული სტუდენტისთვის მოძიების სიძნელეს ქმნის. სტუდენტის გზამკვლევაში თავმოყრილია პროფესიული სტუდენტისთვის საჭირო ინფორმაცია სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად საკონსულტაციო მომსახურების შესახებ:

1. პროფესიული განათლების მიღების უფლება;
2. პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვება;
3. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება;
4. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა;
5. პროფესიული სტუდენტის მობილობა;
6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის, გაუქმების შემთხვევაში სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები
7. პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება;
8. არაფორმალური განათლების აღიარების წესი;
9. კარიერული სერვისები, წახალისებისა და პროფესიული სტუდენტის ინიციატივების მხარდაჭერა

1. პროფესიული განათლების მიღების უფლება

პირს, ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის დაძლევის, პროფესიული ტესტირების ჩაბარებისა და პროფესიის სპეციფიკიდან გამომდინარე, პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული დამატებითი მოთხოვნების დაკმაყოფილების საფუძველზე, უფლება აქვს, მიიღოს პროფესიული განათლება პროფესიული საქმიანობისათვის აუცილებელი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების შესაძენად.

2. პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვება

ა) რეგისტრაცია

პროფესიული განათლების მიღების მსურველთათვის რეგისტრაციის, ტესტირებისა და ჩარიცხვის პროცედურები რეგულირდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის №152/ნბრძანებით დამტკიცებული პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულებით.

რეგისტრაცია ხდება წელიწადში ორჯერ - გაზაფხულსა და შემოდგომაზე.

რეგისტრაცია წარმოებს კოლეჯებში, რესურსცენტრებში, ასევე აპლიკანტებს საშუალება აქვთ ონლაინ დარეგისტრირდნენ სპეციალური პროგრამაში - **vet.emis.ge**, რეგისტრაციის დროს აუცილებელია პირადობის დამადასტურებელი მოწმობა. პროფესიული ტესტირების შედეგების გამოქვეყნების შემდეგ გარკვეული ვადის ფარგლებში აპლიკანტს საშუალება ეძლევა სარეგისტრაციო განცხადებაში შეცვალოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების საბოლოო რეიტინგული ჩამონათვალი, ასევე შეუძლია ჩასაბარებელი საგნების მიხედვით დაამატოს ისეთი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/დაწესებულებები და პროგრამა/პროგრამები, რომელიც/რომლებიც მანამდე არ ჰქონდა არჩეული.

დამატებითი ინფორმაცია იხილეთ ვებ-მისამართზე **vet.emis.ge** და **naec.ge**
ან მოზრძანდით ჩვენთან: ღია კარის დღეები ყოველ დღე შაბათ-კვირის გარდა
მის-ზე: ქ. ქობულეთი, რუსთაველის ქ. N154

ბ) ქულების შენახვა

თუკი მიიღე მონაწილეობა სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებულ პროფესიულ ტესტირებაზე, მაგრამ ვერ ჩაირიცხე შენს მიერ არჩეულ პროფესიულ პროგრამაზე, ტესტირებაში მიღებული ქულა/ქულები შეიძლება შეინახოს და გამოყენებულ იქნას მხოლოდ ერთხელ ცენტრის მიერ ორგანიზებული მომდევნო ტესტირების მიზნებისათვის. აპლიკანტთა რანჟირება განხორციელდება შესაბამისი კონკურსის გათვალისწინებით.

აპლიკანტს უფლება აქვს განმეორებით გავიდეს ცენტრის მიერ ორგანიზებულ ტესტირებაზე დადგენილი წესით და სცადოს გაიუმჯობესოს წინა ტესტირებაზე მიღებული შედეგები. ამ შემთხვევაში, მხედველობაში მიიღება მხოლოდ

განმეორებითი ტესტირების დროს მიღებული შეფასებები, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ისინი უფრო დაბალია, ვიდრე ადრე მიღებული შედეგები.

ამისათვის, აპლიკანტმა უნდა მიმართოს კოლეჯს ან სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრს შესაბამისი განცხადებით.

გ) პროფესიული ტესტების ნიმუშები

ინფორმაცია კოლეჯის მიერ გამოცხადებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით პროფესიულ ტესტირებაზე ჩასაბარებელი პროფესიული უნარების ტესტისა და საგნის (საგნების) შესახებ შეგიძლიათ იხილოთ ვებ-მისამართებზე - naec.ge

დ) პროფესიული ტესტირება

პროფესიულ ტესტირებაზე თან იქონიეთ: პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი - დაბადების/პირადობის (ბინადრობის) მოწმობა/პასპორტი და მოსაწვევი (საგამოცდო ბარათი).

საგამოცდო ბარათი:

პროფესიული ტესტირებისათვის ბარათები გაიცემა სარეგისტრაციო ცენტრებში - საგანმანათლებლო რესურსცენტრებსა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ დაწესებულებებში. ბარათის ამობეჭდვა ასევე შესაძლებელია ვებგვერდიდან www.vet.emis.ge.

საგამოცდო ბარათის უნიკალური კოდის დაკარგვის შემთხვევაში დარეკეთ ცხელ ხაზზე: (+995 32) 2 200 220.

საგამოცდო ბარათის მისაღებად თან იქონიეთ:

- ▶ სარეგისტრაციო ფურცელი;
- ▶ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

საგამოცდო ბარათში, პერსონალურ მონაცემებთან ერთად მიეთითება ის საგამოცდო ცენტრი და მისამართი, რომელშიც აბარებს ტესტირებას, ტესტირებაზე ჩასაბარებელი პროფესიული უნარების ტესტი და საგანი/საგანთა ჯგუფი, ტესტირების ჩატარების თარიღები და ტესტირებაზე რეგისტრაციის დაწყების დრო, ინფორმაცია პრეტესტის შესახებ.

პროფესიული ტესტირება კომპიუტერულად ტარდება. ტესტი პროფესიული უნარებისა და საგნის/საგანთა ჯგუფის ნაწილისაგან შედგება. დაფინანსების მოპოვების მიზნით, კონკურსანტმა ტესტირებაზე ტესტის ჯამური მაქსიმალური ქულის 25 %-ზე მეტი უნდა დააგროვოს.

ე) ჩარიცხვა

პროფესიული ტესტირების გზით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩასარიცხად აპლიკანტმა კოლეჯში უნდა წარმოადგინოს:

1.1. აპლიკანტის, ქმედუნარო/შეზღუდულ ქმედუნარიანი აპლიკანტის შემთხვევაში მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი განცხადება, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლით დადგენილ მოთხოვნებს;

1.2. აპლიკანტის, ქმედუნარო/შეზღუდულ ქმედუნარიანი აპლიკანტის შემთხვევაში, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

1.3. არასრულწლოვანი აპლიკანტის შემთხვევაში დაბადების მოწმობის ასლი;

1.4. 2 ცალი ფერადი ფოტოსურათი ზომით 3x4-ზე;

1.5. საბაზო საფეხურის/ სრული ზოგადი / უმაღლესი / პროფესიული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის დედანი ან/და ასლი, ან განათლების დამადასტურებელი იმ დოკუმენტის დედანი ან/და ასლი ნოტარიულად დადასტურებული რომლის მიღებაც შეუძლებელი იქნებოდა საბაზო საფეხურის ზოგადი განათლების ან/და სრული ზოგადი განათლების დაძლევის გარეშე, თუ სრული ზოგადი განათლება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობას წარმოადგენს;

1.6. უცხოეთში მიღებული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის შემთხვევაში სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების დოკუმენტი;

1.7. კანონიერი წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

1.8 დუალურ პროგრამაზე ჩარიცხვის დამატებით პირობაა „აპლიკანტთა შერჩევის წესით“ განსაზღვრული მოთხოვნების დაძლევა.

3. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება

პროგრამის ფარგლებში სტუდენტის სტატუსის შეჩერება ნიშნავს კოლეჯსა და პროფესიულ სტუდენტს შორის უფლება-მოვალეობების შესრულებისგან დროებით გათავისუფლებას. პროფესიულ სტუდენტს პროგრამის ფარგლებში შეიძლება შეუჩერდეს პროფესიული სტუდენტის სტატუსი: სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე, ხანგძლივი ავადმყოფობის გამო, ორსულობისა და ახალშობილის მოვლის გამო, უცხოეთის

საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გაგრძელების გამო, სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევის გამო, ოჯახის ავადმყოფ წევრებზე მეურვეობის გამო. კოლეჯი უფლებამოსილია განიხილოს პროფესიული სტუდენტის შეჩერების საკითხი სხვა ისეთი ობიექტური გარემოების არსებობისას, რომელიც სტუდენტს ხელს უშლის სწავლის გაგრძელებაში. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება შეიძლება არაუმეტეს 2 წლის ვადით

4. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა

პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა ნიშნავს კოლეჯსა და პროფესიულ სტუდენტს შორის უფლება-მოვალეობების შესრულებისგან გათავისუფლებას. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია: ა) კოლეჯის წესდების, საგანმანათლებლო მოდულური პროგრამის პროგრამების ან/და შინაგანაწესის მოთხოვნების სისტემატური ან ერთჯერადი უხეში დარღვევა; ბ) კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენი, თუ სასჯელის სახით დანიშნულია თავისუფლების აღკვეთა სასჯელადსრულების დაწესებულებაში მოხდით; გ) მოდულური პროგრამის ფარგლებში შესაბამისი შეფასების მიღების მცდელობა მუქარით, ზემოქმედებით, თაღლითური ან სხვა დაუშვებელი მეთოდებით; დ) კოლეჯში ნარკოტიკული ნივთიერებების და ალკოჰოლის ხმარება-გავრცელება; ე) პირადი განცხადება; ვ) პროფესიულ სტუდენტს შეიძლება შეუწყდეს პროფესიული სტუდენტის სტატუსი თუ მოდულური პროგრამის დასრულების მომენტში მას დადასტურებული არ აქვს მინიმუმ 1 სწავლის შედეგი. ე) გარდაცვალება; ვ) მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.

5. პროფესიული სტუდენტის მობილობა

სასწავლებელში პროფესიულმა სტუდენტმა შეიძლება ისარგებლოს მობილობით. მობილობის უფლება აქვს ნებისმიერი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების პროფესიულ სტუდენტს, რომლის ავტორიზებულ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვა განხორციელდა კანონმდებლობით დადგენილი წესით და მობილობის მომენტისათვის არის კოლეჯის ან სხვა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების პროფესიული სტუდენტი.

6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის, გაუქმების შემთხვევაში სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები

პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, კოლეჯი სტუდენტთან შეთანხმების გზით, უზრუნველყოფს მის გადაყვანას ამავე სასწავლებლის სხვა თავსებად მოდულურ პროგრამაზე. კოლეჯში თავსებადი მოდულური პროგრამის არარსებობის შემთხვევაში, კოლეჯი სტუდენტთან შეთანხმების გზით უზრუნველყოფს მის გადაყვანას იმ ალტერნატიულ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში,

რომელთანაც გაფორმებული აქვს მემორანდუმი ურთიერთთანამშრომლობის საერთო პირობების შესახებ.

7. პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება

1. შეფასება არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი.
2. განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე, ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.
3. განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას: ა) სწავლის შედეგი დადასტურდა; ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.
4. განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება პროგრამის დასრულებამდე.
5. განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება ერთჯერ.
6. სტუდენტის/ სტუდენტების მიერ მოდულისწინმსწრებიმოდულისშედეგისვერ დადასტურებისშემთხვევაშიდაწესებულება უფლებამოსილია დირექტორის შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე ერთი კვირით გადაავადოს მომდევნო მოდულის სწავლების დაწყება სასწავლო პროცესის სხვა მოდულის საათებით დარეგულირების ხარჯზე.
7. შეფასების მიმართულებები და შეფასების ინსტრუმენტების ალტერნატიული ჩამონათვალი მოცემულია შესაბამის მოდულში.
8. პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს ყველა ზოგადი, პროფესიული სავალდებულო და პროგრამით გათვალისწინებული ყველა არჩევითი მოდულით გათვალისწინებული კრედიტები.
9. კვალიფიკაციის მინიჭება წარმოადგენს სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის „ახალი ტალღა“ დირექტორის პრეროგატივას, შესაბამისი მოდულური პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურების კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე, ხოლო დუალურ პროგრამაზე კვალიფიკაციის მინიჭების დამატებით პირობაა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება.
10. მოდულური პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურების კომისია იქმნება კოლეჯის დირექტორის შესაბამისი ადმინისტრაციულ –სამართლებრივი

აქტის საფუძველზე, კოლეჯის მიერ შესაბამისი მოდულური პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების შემთხვევაში.

8. არაფორმალური განათლების აღიარების წესი;

არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარება დასაშვებია I-III საფეხურის ფარგლებში ყველა პროფესიისათვის, გარდა რეგულირებადი პროფესიებისა. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების დროს ხდება პროფესიული განათლების შესაბამისი საფეხურისათვის პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების შემოწმება.

9. კარიერული სერვისები, წახალისებისა და პროფესიული სტუდენტის ინიციატივების მხარდაჭერა

სასწავლო პროცესის განმავლობაში პროფესიული სტუდენტისთვის ხელმისაწვდომია ეფექტური და კონფიდენციალური მხარდაჭერასაგან საგანმანათლებლო საკითხებთან დაკავშირებით პერსონალურ დონეზე, რაც ვლინდება კონკრეტულ პირთან ინდივიდუალური კონსულტაციებში. გარდა ამისა, პროფესიულ სტუდენტს აქვს კარიერული დაგეგმვის და პროფესიული ორიენტაციის შესაძლებლობების ფართო სპექტრი (კარიერული, იურიდიული, სამედიცინო და სხვა).

- პროფესიული სტუდენტების უფლებები, მოვალეობები და პასუხისმგებლობები დეტალურად და გარკვევით წერილობითი ფორმით განსაზღვრულია სტუდენტის ხელშეკრულებაში;
- პროფესიული სტუდენტების მიერ, საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში პროგრესირების პროცესში ინდივიდუალურ დონეზე არსებული საჭიროებების კვლევის გათვალისწინებით, ხორციელდება მხარდაჭერის ფორმების პერიოდული გადახედვა და შეფასება;
- ყველა პროფესიულ სტუდენტს მხარდაჭერის სერვისებზე უკუკავშირის გაკეთების შესაძლებლობა აქვს როგორც ნეგატიურ ასევე პოზიტიურ ფორმატში;
- ინფორმაციული უზრუნველყოფის, პროფესიული ორიენტაციის და კარიერული დაგეგმვის სერვისები, კურსდამთავრებულების მიერ სხვა პროგრამებში სწავლის გაგრძელების შესაძლებლობების შესახებ, ინფორმაციის მიწოდებას ეფექტურად უზრუნველყოფენ;
- ხორციელდება კურსდამთავრებულთა შემდგომი დასაქმების შესახებ ინფორმაციის თავმოყრა და შენახვა;
- პროფესიული სტუდენტების სასწავლო პროცესში დასწრების მაჩვენებლის გასაუმჯობესებლად არსებობს წახალისების მექანიზმები, კერძოდ ყოველი სასწავლო წლის ბოლოს საუკეთესო დასწრების და აკადემიური მოსწრების პროფესიული სტუდენტის წახალისება;